ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01223001882**
თარიღი: **27/10/2022**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 19.10.22 წლის #5/58400 (20.10.22 წლის #06-0122293105) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით პოზიციას, ქ. თბილისი, სოფელ ტაბახმელაში, გიორგი კვინიტაძის ქ.N22 მდებარე 84926 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: 81.02.29.361) პრივატიზების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მითითებულ ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ–1) – დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს მხოლოდ არსებულ/დაგეგმილ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არასასოფლო-სამეურნეო ან/და საკარმიდამო გამოყენების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

ნაწილზე – „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილების გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკის მიხედვით, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1). სარეკრეაციო ზონა -1 (რზ-1) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა და მასზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, საპარკო სკამის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების.

ამასთან, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მე–8 მუხლის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეოთხე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 81.02.29.361) განკარგვა, საცხოვრებელი ზონა 1 ფარგლებში.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი